

დებულება

ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ

განმარტება

კაცთა/ქალთა ეროვნულ ნაკრებში, სრკ-ს მიერ შექმნილ ფრანჩიზაში(ფრანჩიზებში), წარმომადგენლობით გუნდ(ებ)ში, ასაკობრივ ნაკრებებში (U20, U18 და ა.შ.), შვიდკაცა/შვიდქალა ნაკრებში მოთამაშის გამომძახების წესის თაობაზე:

- მოთამაშის გამომძახება ნაკრების ვარჯიშებზე:

რეგულარული საკლუბო სეზონის განმავლობაში შესაბამის ნაკრებს უფლება აქვთ შერჩეული მოთამაშეები გამოიძახონ სავარჯიშოდ კვირაში ორი დღის განმავლობაში (მაქსიმალური სიხშირე)

- მოთამაშის გამომძახება ოფიციალურ თამაშებზე და ტურნირებზე:

- თხუთმეტკაცა/თხუთმეტქალა რაგბი:

მოთამაშის გამომძახება შესაძლებელია ტურნირამდე მაქსიმუმ 6 კვირით ადრე ან მატჩამდე 2 კვირით ადრე

- შვიდკაცა/შვიდქალა რაგბი:

მოთამაშის გამომძახება შესაძლებელია ტურნირამდე მაქსიმუმ 2 კვირით ადრე

- მოთამაშეების გამომძახების მიზნით ნაკრების მენეჯერმა უნდა მოახდინოს კლუბის ინფორმირება შესაბამისი ღონისძიების დაწყებამდე სულ მცირე 1 თვით ადრე